

HISTORICAL NARRATIVE OF IAKOB GOGEBASHVILI

იაკობ გოგებაშვილის ისტორიული ნარატივი

Neli Tchampuridze

Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., #53, 1400, Georgia,
+995 577 25 12 70, nelichampuridze@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-7280-5188>

Abstract. Georgian children's literature of the 19th century was involved in the national liberation movement which was led by our great writers. The leaders of this struggle set the goal of awakening the patriotic spirit and national consciousness among the people as one of the priority conditions for the liberation of the Georgian people, renewal of their lives. The foundation of the national school, the establishment of the native language, and the patriotic self-awareness of the youth should be the basis for building a new, free Georgia. Iakob Gogebashvili took the greatest responsibility of this enormous work, whose contribution is the greatest importance in the history of our people. Iakob Gogebashvili considers the territory and history of the country is a sign of nationalism, along with the native language and literature, where the people's mind and noblest feelings are preserved. That is why the study and understanding of historical texts, chronicles, as the greatest treasure of Georgian spirituality, and the enrichment of children's literature with their artistically adapted versions were important. The source of Iakob Gogebashvili's historical stories are Georgian historical writing: "The Life of Kings", "The History of the Chronicler of Times" and "The Life of Kartli". Iakob Gogebashvili's stories are distinguished by the historical embroidery of the plot, artistic guess and gentle sounding Georgian language. The writer tries not to change the historical facts, artistic rendering of these facts is the basis of his creative principles. Iakob Gogebashvili's historical narrative should be perceived not only as a representation of the history of Georgia, a historical-cultural interpretation from a certain point of view, a narrative in artistic works, but also as an intervention and an opportunity to influence when historical knowledge affects the formation of the consciousness of the next generation.

Key words: History, Children's, Narrative, Representation, Plot, Essay.

ნელი ჭამპურიძე

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. გორი, ი. ჭავჭავაძის ქ. #53, 1400, საქართველო,
+995 577 25 12 70, nelichampuridze@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-7280-5188>

აბსტრაქტი. მე-19 საუკუნის ქართული საბავშვო მწერლობა ჩართული იყო ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელსაც ჩვენი დიდი მწერლები მეთაურობდნენ. ამ ბრძოლის მესვეურებმა ქართველი ხალხის გათავისუფლების, მისი ცხოვრების განახლების ერთ-ერთ უპირველეს პირობად პატრიოტული სულისკვეთებისა და ერის გამოღვიძების, ხალხში ეროვნული ცნობიერების გაღვიძება დაისახეს მიზნად. ეროვნული სკოლის

დაფუძნება, დედაენის დამკვიდრება, ახალგაზრდების პატრიოტული თვითშეგნება უნდა დასდებოდა საფუძვლად ახალი, თავისუფალი საქართველოს შენებას. ამ უზარმაზარი სამუშაოს უდიდესი ტვირთი ზიდა იაკობ გოგებაშვილმა, რომლის ღვაწლის მნიშვნელობა დიდია ჩვენი ხალხის ისტორიაში. იაკობ გოგებაშვილი ეროვნულობის ნიშნად ქვეყნის ტერიტორიასა და ისტორიასთან ერთად მშობლიურ ენასა და ლიტერატურას მიიჩნევს, სადაც შემონახულია ხალხის გონება და უკეთილშობილესი გრძნობები. ამიტომ, ისტორიული ტექსტების, ქრონიკების, როგორც ქართული სულიერების უდიდესი საგანძურის, შესწავლა-გააზრება და მათი მხატვრულ-ადაპტირებული ვარიანტებით საბავშვო ლიტერატურის გამდიდრება უდიდესი მნიშვნელობის საქმეს წარმოადგენდა. იაკობ გოგებაშვილის ისტორიული მოთხრობების წყაროს წარმოადგენს ქართული საისტორიო მწერლობა: „მეფეთა ცხოვრება“, „ჟამთა აღმწერელის ისტორია“ და „ქართლის ცხოვრება“. იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები გამოირჩევა სიუჟეტის ისტორიული ქარგით, მხატვრული ალღოთი და ნაზი ჟღერადი ქართული ენით. მწერალი ცდილობს, არ შეცვალოს ისტორიული ფაქტები, ამ ფაქტების მხატვრულად გადმოცემა წარმოადგენს მისი შემოქმედებითი პრინციპების საფუძველს. იაკობ გოგებაშვილის ისტორიული ნარატივი უნდა აღვიქვამთ არა მხოლოდ როგორც საქართველოს ისტორიის რეპრეზენტაცია, ისტორიულ-კულტურული ინტერპრეტაცია გარკვეული პოზიციიდან, თხრობა მხატვრულ ნაწარმოებებში, არამედ როგორც ინტერვენცია და შემოქმედების შესაძლებლობა, როცა ისტორიული ცოდნა გავლენას ახდენს მომავალი თაობის ცნობიერების ჩამოყალიბებაზე.

საკვანძო სიტყვები: ისტორია; საბავშვო; ნარატივი; რეპრეზენტაცია; სიუჟეტი; თხზულება.

შესავალი. იაკობ გოგებაშვილის მიერ გამოცემული ისტორიული მოთხრობები გამოსვლისთანავე ერის გამოღვიძების, საქართველოს ისტორიის შესწავლისა და ერის ცხოვრების გაანალიზებისა და ქვეყნის სამომავლო გზების სწორი ორიენტირის საფუძვლად მიიჩნის. 1900 წელს ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „როცა დრო მოვა და მეცხრამეტე საუკუნის ქართველთ სწავლის ისტორია დაიწერება, იქ იაკობ გოგებაშვილი ერთ განმარტოებულს საპატიო ადგილს დაიკავებს, იგი დაამშვენებს მთელ მეცხრამეტე საუკუნეს ქართველთ განვითარების აღორძინების ისტორიას. ყოველივე ჩვენი ნათქვამი დამტკიცდება მაშინ, როცა ვინმე ამ პირის მოღვაწეობის ისტორიას დაწვრილებით შეისწავლის, მასთანვე შეისწავლის ყველა მის ნაწერებს“ (ჭიჭინაძე, 1900: 46). ილია ჭავჭავაძემ წინასწარ განჭვრითა დიდი იაკობის ღვაწლის მასშტაბები. „ივერიის“ რედაქციის თანამშრომლებთან საუბარში: „ილიას უბრძანებია იაკობ გოგებაშვილი პატარა კაცი არ არის. ბევრი რამ, რასაც ის მოიწერება ან რასაც იმას მისწერენ, შეიძლება ისტორიის ხვედრი გახდესო...“ (გოგოლაშვილი, 2020: 79) მე-19 საუკუნის საქართველოში, სწორედ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ იყო ერის გადარჩენისათვის ბრძოლის მნიშვნელოვანი საყრდენი.

იაკობ გოგებაშვილი პროფესიონალი საბავშვო მწერალია. მან თეორიული საფუძველი შეუქმნა საბავშვო ლიტერატურის განვითარებისა და ჩამოყალიბების საქმეს. იაკობ გოგებაშვილის განმარტებით, საყმაწვილო ლიტერატურას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებასა და განვითარებაში. „ეს არის საუკეთესო საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და განათლება ხალხისა. გონებითი მოძრაობა ერისა ქვიშაზეა აშენებული, თუ იგი ღარიბია საყმაწვილო ნაწარმოებებით, საყმაწვილო ლიტერატურით“ (გოგებაშვილი: 337). საბავშვო ლიტერატურის მთავარი დანიშნულება

ყოველთვის იყო ერის ხვალინდელ დღეზე ზრუნვა. იაკობ გოგებაშვილის კალამს ეკუთვნის საყმაწვილო მოთხრობების კრებულები: „კუნწულა“, „ხომლი“, „აკიდო“, „კოკორი“ და „მოსავლის მცველნი“. აღნიშნულ წიგნებში იაკობის 130-მდე საკუთარი, პატარა თუ დიდი მოთხრობაა. ის თანამშრომლობდა ჟურნალ „ჯეჯილში“, რომელშიც 1890-1900 წლებში გამოქვეყნდა მისი 13-მდე ორიგინალური მოთხრობა. სვადასხვა დროს ცალკე წიგნად იბეჭდებოდა „იავნანამ რა ჰქმნა?!“, „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, „ასპინძის ომი“, „თავდადებული ქართველნი“, და სხვა. იაკობ გოგებაშვილს კარგად ესმოდა მხატვრული ლიტერატურის როლი ერის აღორძინებისა და განახლების საქმეში. „ყოველი პოეტი და ლიტერატორი“ ამბობდა იაკობ გოგებაშვილი, - უნდა წერდეს იმას, რაც „ქართველს გონებას უნათებს და უმდიდრებს ცხოველი ცოდნით ... უჩვენებს სახელმძღვანელო პრინციპებს და ჰხდის კარგად შეიარაღებულ და მარჯვე მეომრად სასტიკ ბრძოლაში“ (გოგებაშვილი, 1960: 124) იგი მხატვრულ სიტყვას, ლიტერატურას ხალხის გონებისა და სულის მკურნალად მიიჩნევს.

მეთოდები. ნაშრომი დაფუძნებულია ტექსტის ადაპტაციისა და საბავშვო ლიტერატურის თეორიულ დებულებებზე, ისტორიული წყაროებისა და მხატვრული ტექსტების შედარებით ანალიზზე. ნაშრომში გამოყენებულია აღწერილობითი, შედარებითი და ანალიტიკური მეთოდი. მეთოდოლოგიურად თვისებრივი კვლევის კატეგორიაში მოიაზრება და საბაზისო მეთოდოლოგიურ მიდგომად ტექსტის იდეურ-მხატვრული ანალიზის მეთოდი ვიყენებთ. წარმოდგენილ კვლევაში ძირითადი შეხედულებები ემყარება სამეცნიერო კვლევებს, სტატიებს, რომლებშიც განხილულია იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების ანალიზი.

შედეგები. იაკობ გოგებაშვილმა თავისი ისტორიული თხზულებების შესაქმნელად მიმართა საქართველოს ისტორიული მატრიანის მხატვრული ადაპტაციის ხერხს, რაც გამოიხატა ნედლი ისტორიული მასალის საბავშვო თხზულებებად ტრანსფორმაციაში. მწერალი უღრმავდება „ქართლის ცხოვრებას“ და საქართველოს ისტორიის არაერთ ეპიზოდს მხატვრულად წარმოგვიდგენს. იაკობ გოგებაშვილის ისტორიული ნარატივი უნდა აღვიქვათ არა მხოლოდ როგორც საქართველოს ისტორიის რეპრეზენტაცია, ისტორიულ-კულტურული ინტერპრეტაცია გარკვეული პოზიციიდან, თხრობა მხატვრულ ნაწარმოებში, არამედ როგორც ინტერვენცია და ზემოქმედების შესაძლებლობა, როცა მხატვრული ნარატივი, ისტორიული ინტერპრეტაცია მიზანმიმართული პროცესია იდენტობის ფორმირებისა, რომლის ფარგლებშიც ის ორიენტირის როლს თამაშობს. ისტორია ლიტერატურას აძლევს ფაქტს, მასალას განსჯისა და განხილვისთვის, ისტორიაც და ლიტერატურაც ცდილობს დროის უკვდავყოფას და ამ დროის სივრცეში საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიული განვითარების შესახებ ყველაზე მნიშვნელოვანის მოქცევას. იაკობ გოგებაშვილისთვის მხატვრული ტექსტი დამხმარე საშუალებაა წარსულის რეკონსტრუქციისთვის, რომელსაც ისტორიული მოვლენების ბავშვებისათვის გასაგები ენით გადმოცემით (ადაპტაციის) მათზე ზეგავლენის მოსახდენად იყენებს. ნარატივის „სამყაროს აღქმის ისტორიულ-კულტურული ინტერპრეტაცია გარკვეული პოზიციიდან, თხრობა მხატვრულ ნაწარმოებში (ისტორიების, ტექსტების, გამოსახულების, მუსიკის, მოვლენების სახით) გაგება- რეპრეზენტაციის შესაძლებლობებს უკავშირდება“ (განმარტ. ლექსიკონი: 3,34) ნარატივი ზემოქმედებას ახდენს, ის გარკვეულ აქტს ახორციელებს: „ლიტერატურას ახასიათებს სწრაფვა სამყაროს ხელახლა აღმოჩენისაკენ, დადგენილის, ნაცნობის, ფამილარულის შეცვლისაკენ, გაუცხოებისაკენ ანუ დეფამილარიზაციისკენ“ (რატიანი, 2009: 34). ბავშვებისათვის ადვილად გასაგები ენით ისტორიული ტექსტების, წყაროების,

ლეგენდების მეთოდური დამუშავება წარმოადგენს იაკობ გოგებაშვილის საბავშვო შემოქმედების მნიშვნელოვან ნაწილს.

მსჯელობა. იაკობ გოგებაშვილისათვის მხატვრული ლიტერატურა, კერძოდ, საბავშვო ლიტერატურა ის უმნიშვნელოვანესი იარაღია, რომელმაც თავისი იდეური ზეგავლენით სწორი მიმართულება უნდა მისცეს საზოგადოების განვითარებას, „უჩვენოს სახელმძღვანელო პრინციპები“. მას თავის საბავშვო მოთხრობებში არასოდეს უღალატია იმ ძირითადი პრინციპებისათვის „...რომელიც ეწინააღმდეგებოდეს ისტორიულ ფაქტებს, ქართულ ზნე-ჩვეულებას, ბელეტრისტულ შესაძლებლობას და ფსიქოლოგიას ხალხისას და მოქმედის პირებისას“ (გოგებაშვილი, 1990: 210). მწერალი პრინციპულად აყენებს საკითხს, რომ განსაკუთრებული სიზუსტით, მიზანდასახულად, თვალნათლივ იქნეს გადმოცემული ისტორიული ამბები და ლეგენდები. აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი იაკობ გოგებაშვილმა თვალნათლივ წარმოაჩინა წერილში, რომელიც მიეძღვნა საბავშვო ჟურნალ „ნობათის“ პირველი ნომრის მიმოხილვას. როგორც იგი აღნიშნავდა, ისტორიული გმირების ცხოვრების მაგალითების, მათი მორალური საქციელის ჩვენება უნდა ქცეულიყო მაგალითად მომავალი თაობისა, როგორც პატრიოტული სულისკვეთების ჩამოყალიბების მიზანმიმართული პროცესი: „ამოირჩიეთ უფრო თვალნათელი ფაქტები, დალაგებით უამბეთ ბავშვებს, გადაუჭარბებლად, უკრიტიკოდ, საზოგადო ფრაზების მორიდებით და თქვენ მისცემთ მათ გონებასა და გულს საუკეთესო საზრდოსა“ (გოგებაშვილი, 1989: 341). „ბუნების კარის“ 1912 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში იაკობ გოგებაშვილი მიმოხილავს ისტორიული განყოფილების დანიშნულებას: „მხოლოდ ამისთანა მოთხრობებს შეუძლიან მისცენ ნაციონალური გაკვეთილები მოსწავლეთა და ჩააგონონ მათ, თუ რას უნდა ეტრფოდეს, საითკენ უნდა მიისწრაფოდეს, აწმდგომი თავისი არსებობა მან გააძლიეროს და მომავალშიც სანატრელი მოიმზადოს“ (გოგებაშვილი, 1912: IV). დიდი იაკობის თანამოკალმე ილია ჭავჭავაძე წერილში “ დავით აღმაშენებელი” წერდა: “არ ვიცი, სხვა როგორა ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავისდა საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს.რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ, - რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც. ისტორია თავის გულის ფიცარზედ იბეჭდავს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაბეჭდვითა, როგორც სარკე, გვაჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისთვის და გაძლიერებისთვის”- (ჭავჭავაძე, 1984: 604) იაკობ გოგებაშვილს კარგად ესმოდა ისტორიის „სულიერი საგზლის“ მნიშვნელობა ერის გამოღვიძების საქმეში. ამიტომაც იქცა მისი შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ მოტივად პატრიოტიზმი, ისტორიული ქრონიკების მხატვრული სახეებით თხრობა. დიდი პედაგოგი და განმანათლებელი არა მარტო ქმნიდა, მეთოდურ მითითებებსაც იძლეოდა, თუ რა პრინციპებითა და მიდგომებით უნდა ყოფილიყო მიწოდებული ისტორიული ფაქტები, წყაროები თუ ლეგენდები ბავშვებისათვის. იაკობ გოგებაშვილს ერის ნაციონალური ძალის საძირკველად, ერის აღორძინებისა და წარმატების პირველ ბურჯად სამშობლო, მის ტერიტორია, მიწა-წყალი, მამული მიიჩნია, მეორე ბურჯად სამშობლო ენა, მესამე ბურჯად სკოლა მიაჩნია, ხოლო მეოთხე ბურჯად ეკლესია. იაკობის აზრით, მშობლიური ენის შესწავლა „ბავშვს აკავშირებს მთელი ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონით და მხნეობით... ამიტომაც უწოდა მას აკაკი წერეთელმა “წარსულის შვილი, აწმყოს აღმზრდელი და მომავლის გადია” (კანდელაკი, 1990: 91)

იაკობ გოგებაშვილმა „ქართლის ცხოვრების“ საგმირო ეპიზოდები გადაამუშავა და წარმოგვიდგინა საბავშვო ნაწარმოებების სახით, რომლებიც წარმოადგენს ადაპტირებულ ვარიანტს სრულ პირვანდელ ტექსტთან შიინარსობრივი თახვედრის გამო. „ქართლის ცხოვრება“ მდიდარ ისტორიოგრაფიულ ტრადიციებზე დამყარებული ძეგლია და,

ამდენად, შეიცავს სხვადასხვა ჟანრის ზემოქმედებას. ეს ვლინდება მხატვრულ ფორმათა მრავალფეროვნებაში. „ქართლის ცხოვრების“ წაკითხვისას ჩვენს ყურადღებას ყოველთვის იქცევდა მისი ენა, მხატვრული შედარებები... ტექსტებში იგრძნობა ჰაგიოგრაფიის, ჰიმნოგრაფიის და სახოტბო პოეზიის ერთგვარი გავლენა“ (ქადაგიძე, 2004: 24) მწერლის ისტორიული მოთხრობების წყაროს წარმოადგენს ქართული საისტორიო მწერლობა: „მეფეთა ცხოვრება“, „ჟამთა აღმწერელის ისტორია“ და „ქართლის ცხოვრება“, რომელთა ნათელმა ფურცლებმა შემოინახა ცოტნე დადიანისა და თევდორე მღვდლის, იოთამ ზედგინიძისა და სამასი თავდადებული ქართველის გმირობა, სული საქართველოს გმირული წარსულისა. იაკობ გოგებაშვილის ისტორიული მოთხრობები, რომლებიც არცთუ ისე მცირეა, გამოირჩევა დინამიკური თხრობითა და საინტერესო ისტორიული სიუჟეტებით, მხატვრული ალლოთი და ნაზი ჟღერადი ქართული ენით, მწერალი ცდილობს, არ შეცვალოს ისტორიული ფაქტები. ამ ფაქტების მხატვრულად გადმოცემა კი მწერლობის შემოქმედებითი პრინციპების საფუძვლად მიაჩნია. ისტორიული მოთხრობების დიდი აღმზრდელობითი დანიშნულების გამო მწერალი უღრმავდება „ქართლის ცხოვრებას“ და საქართველოს ისტორიის არაერთ ეპიზოდს მხატვრულად წარმოგვიდგენს. მოთხრობა „ასპინძის ომის“, გამოცემის შესახებ ქართული პრესა იტყობინებოდა: „საქართველოს ისტორიაში ამან დიდი ცოდნა და განსჭვრეტა გამოიჩინა.....რადგანაც მათ ასე ლამაზად და გასაგებ ენით დაწერილი ქართული ისტორიული წიგნი წასაკითხათ თვალითაც არ ენახათ. ასეთისავე ღირსების აღმოჩნდა „თავდადებულნი ქართველნი“ და სხვა ისტორიული მოთხრობები“ (ჭიჭინაძე, 1900:46). მოთხრობა „ასპინძის ომი“ 1892 წელს გამოვიდა, ჟურნალი „მწყემსი“ („წყემსი“, 1892, №20, გვ. 11) იმავე წლის 30 ოქტომბერს აცნობებდა საზოგადოებას: „ჩვენ მივიღეთ ბ. იაკობ გოგებაშვილისაგან მისივე შედგენილი პატარა წიგნაკი „ასპინძის ომი“. წიგნაკი მშვენივრად არის გამოცემული და არა თუ მოზრდილი ყრმათათვის, არამედ ყველა ქართველისათვის საინტერესო საკითხავია“ (ჭიჭინაძე, 1900: 65) .

„ბუნების კარის“ მეოთხე საისტორიო განყოფილებაში მწერალს მოუთავსებია მოთხრობები საქართველოს წარსულიდან, საისტორიო ლექსები თვალსაჩინოების ჩართვით, ისტორიულ პირთა პორტრეტები. წერილის ავტორის აზრით, ამ განყოფილების დანიშნულებაა გააცნოს მკითხველს ისტორიული წარსული სამშობლო ქვეყნისა, მისი ბედი და უბედობა. მწერალმა ისტორიული მოთხრობები შეიტანა თავის უკვდავ სახელმძღვანელოებში „ ბუნების კარსა“ და „დედა ენაში“. „ ბუნების კარის“ ისტორიულ განყოფილებაში (მოთხრობანი, საქართველოს წარსულიდან, მამასახლისობის დრო) მწერალი საუბარს იწყებს ქართველი ბავშვის დაბადებიდან, პირველი ქართველის - ქართლოსის სახელის, საქართველოს სახელის გაცნობით იწყებს რატომ ჰქვია მის ქვეყანას საქართველო? პასუხიც მზად არის, დაკონკრეტებულად, მხატვრული ოსტატობით მოთხრობილი და მარტივი, ადვილად გასაგები ენით გადმოცემული. მწერალი დიალოგს მართავს მკითხველთან: „ ჩვენ ვიცით, რომ ყველა ქართველი ბავშვი ქართველი დედა-მამისგან იზადება. ეს დედა-მამა ვისგან დაიბა? რასაკვირველია თავის დედა-მამისგან, ამ უკანასკნელთ თავისი მშობლები ჰყავთ“ (გოგებაშვილი, 1912: 548) შემდეგ გვაწვდის პირველ ცნობებს ქართველთა ჰკუითა და მამაცობით გამორჩეულ მეფეებზე. ეპოქალური თანმიმდევრობითაა განლაგებული მოთხრობები: „პირველი მეფე საქართველოსი ფარნაოზი“, „ვახტანგ გორგასლანი“ და სხვა. საუკუნე საუკუნეს მისდევს და ასე ვეცნობით საქართველოს ისტორიის ნათელ ფურცლებს. იაკობ გოგებაშვილი გარკვეული პედაგოგიური თვალსაზრისით ცდილობს არ შეცვალოს ისტორიული ფაქტები და ზოგჯერ მნიშვნელოვან მოვლენებს არამხატვრული დამუშავებით, გადაჭარბებული სიფრთხილით გვაწვდის. ისტორიულ თხზულებებში პატრიოტთა რიგებს ამშვენებენ უფლისწულები, საეკლესიო პირები და ხალხის წიაღიდან გამოსული ადამიანები. „საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა“-ისტორიული ამბავი საქართველოს წარსულიდან, პირველად

დაიბეჭდა ცალკე წიგნად 1900 წელს „საყმაწვილო და სახალისო წიგნების“ სერიაში (# 8), იაკობ გოგებაშვილმა მოთხრობას ასეთი შენიშვნა გაუკეთა: „საქართველოს ისტორია წარმოადგენს ისეთს ხანგრძლივსა და რთულ დრამას, რომელსაც ასი შექსპირიც ვერ ამოავსებსო“....აჰა, მკითხველო, ერთი მეასედი, ასე თქვათ, მოქმედება ამ საოცარი დრამისა, რომლის შინაარსი ამოღებულია „ქართლის ცხოვრებიდან“. „მაშინ შეკრიბეს, - განაგრძობს „ქართლის ცხოვრება“, - ყოველნი წარჩინებულნი სამეფოსანი, იმერნი და ამერნი, კათალიკოზნი ორივენივე (მცხეთისა და ქუთაისისა) და ეპისკოპოზნი და მეფედ ჰყვეს რუსუდან და დასვეს ტახტსა ზედა სამეფოსასა და მიულოცეს მეფობა, წესისამებრ“ (გოგებაშვილი, 1912: 22) მწერალი მოთხრობაში ისტორიულ თხზულებას იმოწმებს. გოგებაშვილს კარგად ესმის, რომ მხოლოდ „კომპლიმენტური შექება“ ისტორიული გმირებისა არ არის საკმარისი ქვეყნის ისტორიის გასაცნობად, მხატვრული სიტყვითა და დიდი შემოქმედებით ალღოთი უნდა იქნეს ისტორიული მოთხრობები შექმნილი, ამავე დროს იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ცალკეული ეპიზოდების შესწავლას და მათ მხატვრულ ხორშეცხმას, რომლის საშუალებითაც პატარა მკითხველი ადვილად გაიგებდა ისტორიულ მონათხრობს და სათანადო დაკვნების გამოტანას შეძლებდა. „სიმშვენიერე ქვეყნისა დასკვნაა, რომელიც ბავშვმა თვითონ უნდა გამოიყენოს რეალური, კონკრეტული სურათებისაგან და ეს სურათები მას თვალწინ უნდა დაუხატოს ავტორმა. მხოლოდ აქაც საჭიროა, როგორც სამშობლოს ისტორიაში, რომ ავტორი ბევრს არ გამოუდგეს, არ მოინდომოს მთელი სამშობლოს შესწავლა თავისი წერილების შუამავლობით, და მტკიცედ ადგეს ეპიზოდურს მეთოდსა“ - (ნობათი, 1884) - ასეთია იაკობ გოგებაშვილის ისტორიული ნარატივის მეთოდური პრინციპები.

საბავშვო მოთხრობებში ისტორიული თემატიკის მთავარ პრინციპებზე თეორიული მსჯელობა შეადგენს იაკობ გოგებაშვილის კრიტიკული წერილების ერთ-ერთ ნაწილს. 1897 წელს გაზეთ ივერიაში №61 და №62 გამოქვეყნდა წერილი „უძლური ბოროტება“. ეს წერილი პასუხია გაზეთ „კვალში“ დაბეჭდილი რეცენზიისა, რომელიც მიემდგინა იაკობ გოგებაშვილის მოთხრობას „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“ (კვალი, 1897: 535-437). აღნიშნულ მოთხრობაში გამოყენებული ისტორიული ფაქტების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია თხზულებებში ისტორიზმის გამოყენების სპეციფიკა. ავტორი აღნიშნავს, რომ მან თავის მიზანს მიაღწია, რამდენადაც შეძლო ამ პატარა მოთხრობით, რადგანაც აღნიშნული მოთხრობის სიუჟეტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ისტორიული ცხოვრების ფაქტებს, ზნე-ჩვეულებებს, ხალხის ფსიქოლოგიასა და ისტორიულ პირთა მოქმედებებს. ისტორიული თქმულება დასდებია საფუძვლად მოთხრობას „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“. ეს თქმულება გავრცელებული ყოფილა ქიზიყში. გარდა ამისა, იგი, როგორც მომხდარი ფაქტი, ალექსანდრე ორბელიანს მოჰყავს ერთ თავის წერილში, რომელიც „ივერიაში“ დაბეჭდილია. ეს ამბავი ალ. ორბელიანს დედისაგან, თეკლა ბატონიშვილისაგან მოუსმენია. გარკვეული მიზნით მწერალს თქმულების სიუჟეტი საინგილოში გადააქვს. აღნიშნულ მიზანს იაკობ გოგებაშვილი შემდეგნაირად გვისაბუთებს ზემოთ აღნიშნულ კრიტიკულ წერილში „უძლური ბოროტება“: „მოთხრობაში მე მსურდა, თანახმად საინგილოს წარსულისა და აწმდგომისა, ხმა-მალლა მეღიარებინა მათი ნამდვილი ქართველობა, ღვიძლი ძმობა ქართველებთან, სიყვარული საქართველოსი და ერთგულება საერთო მეფისადმი“ (გოგებაშვილი, 1990: 210). მწერალი ხალხის აზრს, მის გენიას ცხოვრების სკოლად მიიჩნევს. „ეს იყო სკოლა ცხოვრებისა, ძლიერ სასტიკისა, სკოლა შეუწყვეტელის ბრძოლისა მტერთა წინააღმდეგ, ბრძოლა დასაცველად თავისი მამულისა, კერისა, ოჯახისა, ენისა, სჯულისა, ქართველობისა“, (გოგებაშვილი, 1990: 202) - ამბობს ავტორი.

მწერალი თავის ისტორიულ თხზულებებში პატარა მკითხველისთვის გასაგები ენით, საბავშვო ლიტერატურის სპეციფიკური ნიშნების დაცვით (რომლის თეორიულ დებულებებსაც თავად აყალიბებდა) მოგვითრობს საქართველოს ისტორიის თითოეულ

ეპიზოდს, ისტორიის ყოველ ათწლეულს, ყოველ ეპოქას და ხშირად ამ მოთხოვნებში ეპოქალური მოვლენების შეფასებასა და გულისტკივილსაც გადმოგვცემს. მოთხოვნას „მონღოლების შემოსევა საქართველოში“ იწყებს შემდეგი სიტყვებით: „დიდ აღმართს დიდი თავდადმართი მოსდევს“ მოთხოვნის დასასრულს კი მწერალი გვაუწყებს, რომ ქართველების გმირული ბრძოლა და თავდადება შიანური აშლილობის ბრალი იყო „ქართველები მონობის უღელს ეურჩებოდნენ და დიდ თავდადებას იჩენდნენ მამულისათვის, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა შიანური გაყრისა და სისუსტის გამო“ (გოგებაშვილი, 1975: 224). მოთხოვნაში „სამასი თავდადებული გლეხი“ ავტორი დასაწყისშივე გვამცნობს, რომ უნდა გვიამბოს სამწუხარო ამბავი, ის დიდი განსაცდელი, რაც ქვეყანას დაატყდა თავს და ამ განსაცდელის დროს გამოჩენილი ქართველთა გმირობა. „მე მინდა გაიმბოთ ამჟამად ერთი ფრიად სამწუხარო, მაგრამ სასახელო ამბავი“. მწერალი საკუთარი შეფასებით იწყებს მოთხოვნას „ მეფე გიორგი მეცამეტე და რუსეთთან შეერთება,“ იგი მოთხოვნის დასაწყისშივე გვაუწყებს თავის მოსაზრებას : „ სიკვდილის წინათ მეფე ერეკლეს ერთი დიდი შეცდომა მოუვიდა...“ და განაგრობს ერეკლე მეფის სამეფო ტახტზე არსებულ ვითარების, იმ გამოუვალ მდგომარეობის გადმოცემას, რომელშიც ქვეყანა აღმოჩნდა.

საქართველს ისტორიულ თხზულებებში ხშირად გვხვდება ღვთისმშობლის გამოცხადებისა და მისი მფარველობის შესახებ მოთხოვნილი ამბები. ღვთისმშობელი გვევლინება საქართველოს დედა-ღვთაებად და მფარველად. მოთხოვნაში „სხივი წარსულისა“ იაკობ გოგებაშვილი გვიყვება იმ ციური მფარველობის შესახებ, რასაც ხშირად იღებდა ქართველი ხალხი ჭემმარიტი ქრისტიანული ცხოვრების სანაცვლოდ. ავტორი გადმოგვცემს ამ ამბის პირველწყაროს შესახებ, რომ იგი „ქართლის ცხოვრებაში,“ გადმოცემულ სასწაულებრივ თქმულებაზე მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრების“ სიტყვით, მაშინ მოხდა ყოვლად უცნაური, მოულოდნელი და სასწაულებრივი ამბავი“- იმოწმებს ისტორიულ წყაროს, რათა მეტი დამაჯერებლობა მისცეს მონათხრობს. მონღოლი ნოინის მკვლელს ღვთისმშობელი გამოეცხადა და ქართველთა ჯარი განსაცდელისაგან იხსნა. „ქართველი ჯარი ჩავარდა საშინელს განსაცდელში და მისი გაწყვეტა აუცილებელი იყო გამმაგებულის მონგოლების ხელით, თუ რომ მას მხსნელად არ გამოსჩენოდათ ის, ვისიც წილხდომილი იყო საქართველო. და ვითარ გათენდა, - მოგვითხრობს ქართლის ცხოვრება, -და არ უწყოდეს, თუ ვითარ, ან ვის მიერ მოკლულ იყო. მაშინ თქვეს ყოველთა: რადგან ქართველნი დიდს ჭირსა და სასჯელში არიან ჩვენ მიერ, ამისათვის მოუკლავთ ქართველთაო“ (გოგებაშვილი, 1975: 252) მწერალი მოთხოვნას ისტორიული წყაროს გაცნობით ამთავრებს: „ ასე გადარჩა ქართველი ჯარი ამოწყვეტისაგან და საქართველო აოხრებისაგან, -ამბობს „ქართლის ცხოვრება“. (გოგებაშვილი, 1975: 253) იაკობ გოგებაშვილი ცდილობს არ შეცვალოს ისტორიული ფაქტები და ზოგჯერ მნიშვნელოვან მოვლენას არამხატვრული დამუშავებით, გადაუჭარბებელი სიფრთხილით გვაწვდის, მკითხველს ეძლევა საშუალება, საკუთარი ფანტაზიით განავითაროს მოვლენები. მწერლის მიზანია მოვლენების არა მშრალად აღწერა, არამედ ძლიერი ემოციების აღძვრა მკითხველში. „სხივი წარსულისა“ პირველად დაიბეჭდა ცალკე გამოცემად „სხივი წარსულისა“ 1898 წელს. გაზეთი „ივერია“ აცხადებდა: „რედაქციამ მიიღო ახალი საყმაწვილო წიგნაკი: „სხივი წარსულისა“, ისტორიული ამბავი, დაწერილი იაკობ გოგებაშვილის მიერ. წიგნაკი 16 გვერდს შეიცავს, მშვენიერს ქარაღზე დაბეჭდილი და ღის ერთი შაური. ამ წიგნაკის წმინდა შემოსავალი, ავტორის სურვილით, მოემატა იმ ფულს, რომელიც იკრიბება მცხეთის სვეტი-ცხოველის ტაძრის განსაახლებლად“ (ივერია, 1898. #210)

მოთხოვნათა ციკლი „თავდადებულნი ქართველნი“ ცალკე წიგნად გამოვიდა 1895 წელს „საყმაწვილო და სახალისო წიგნების“ სერიაში. წიგნში ავტორს მოუთავსებია ოთხი საბავშვო მოთხოვნა: თავდადებული მღვდელი თევდორე“ (პირველად გამოვიდა ი.

სვიმონისძის ფსევდონიმით, ჟურ. „ჯეჯილში“, 1893 წ. #5, 23-28) „თავდადებული აზნაური იოთამ ზედგინიძე“, „თავდადებული თავადი ცოტნე დადიანი“ და „გამარჯვებული დედა“. აღნიშნულ მოთხრობებში ქართველ პატრიოტთა მამაცობისა და თავგანწირვის გმირული ამბები გადმოცემული. მწერალი ცდილობს, არ დარჩეს არც ერთი ეპოქა, არც ერთი ამბავი ქართლის ცხოვრებისა მოუთხრობელი მკითველისათვის. იგი ისტორიული სიზუსტითა და თანმიმდევრობით მოგვითხრობს საქართველოს ისტორიის შესახებ. თავის თეორიულ შეხედულებებს ისტორიული მოთხრობების შექმნის შესახებ მწერალი შემოქმედებითად ორიგინალურად ავითარებს „ჩვენი სამშობლო ქვეყანა ისტორისათვის იმდენად მდიდარია ყოველგვარი საუკეთესო სურათებითა და სანახაობებით, რომ ფერ-უმარტილი მას სრულიად არ ესაჭიროება“ (გოგებაშვილი, 1982: 435-436).

მოთხრობაში „სამასი თავდადებული გლეხი“ (საქართველოს წარსულიდან) აღწერილ კრწანისის ბრძოლაში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი უბრალო ადამიანებსაც შეაქვთ. მწერალი მარტივი ენით გადმოგვცემს ამბავს საქართველოს ისტორიიდან. მოთხრობის პროლოგსაც და ეპილოგსაც გრ. ორბელიანის პოემა „სადღეგრძელოს“ სტროფები აქვს დართული. ავტორი ცდილობს ამით მეტი მხატვრულობა შესძინოს თავის ისტორიულ მოთხრობას. მოთხრობა იწყება მწერლის დიალოგით მკითხველთან: „მე მინდა გიამბოდ ამჟამად ერთი ფრიად სამწუხარო, მაგრამ სასახელო ამბავი, (გოგებაშვილი, 1975: 308) რომელთა გმირული რვაწლი არ დაივიწყა სამშობლომ. მწერალი ხოტბას ასხამს თავდადებული გმირების ღვაწლს და პატარა მკითხველს აუწყებს, რომ ნიჭიერმა ქართველმა პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა პოემა „სადღეგრძელოს“ ულამაზესი სტოფებით უკვდავყო გმირთა სახელი:

„გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება!

თქვენთა სახელთა ამაყად წარმოთქვამს ჩამომავლობა!“

დიდი ჰუმანისტი თავის ისტორიულ მოთხრობას „თავდადებული მღვდელი თევდორე“ ასეთ შესანიშნავ აზრს ურთავს „კაი, ხანია, რაც საქართველოს აღარ მტრობენ და აღარ აწუხებენ აღარც ლეკები, აღარც სპარსელები. ამის გამო ჩვენ, ქართველებს გვმართებს ყოველგვარ მტრობაზე მათ შესახებ ხელი ავიღოთ“ (გოგებაშვილი, 1975: 315). თევდორე მღვდელმა სამშობლო განსაცდელისგან იხსნა. კეთილშობილ თევდორე მღვდელს სამშობლოს მტრები, თათრები ტყეში შეჰყავს და გზას უბნევს. მწერალი მღვდლის საქციელს რუსთაველის აფორიზმით აგვირგვინებს: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“. სწორედ ზნეობის ეს კოდექსი „აიცხადა“ თევდორე მღვდელმა საკუთარ თავზე, - წერს იაკობ გოგებაშვილი. გმირული სულისკვეთების მქონე ადამიანების დიდი გალერეა დაგვიხატა იაკობ გოგებაშვილმა თავის ისტორიულ მოთხრობებში. ქართველი პატრიოტის, სამშობლოს ერთგული ადამიანების ფართო სპექტრით წარმოდგენას საბავშვო მწერალი ახერხებდა დიდი შემოქმედებითი ნიჭით და პედაგოგიური ალლოთი „ის აყალიბებდა ბავშვის სულს მეცნიერული ცოდნის საფუძველზე, ამდიდრებდა მას მხატვრული აზროვნებით.“. (თავიშვილი, 1960: 2004)

დასკვნა. იაკობ გოგებაშვილის ისტორიული თემატიკის მოთხრობები მორალურ-დიდაქტიკური ხასიათის მასალაზეა აგებული. ეროვნული ძალის გამოღვიძება-განვითარებისათვის იაკობ გოგებაშვილს აუცილებლად მიაჩნია მშობლიური ქვეყნისა და ხალხის წარსულის კარგად ცოდნა. მას კარგად ესმოდა, რომ წარსულის ცოდნის გარეშე ადამიანი ვერც აწმყოში გაერკვევა და ვერც მომავლის განვითარების პერსპექტივებს წარმოადგენს. მაგრამ იაკობი წარსულს არასოდეს მისტიროდა, წარსულში ქართველთა გმირული ბრძოლების შესწავლასა და თხრობას იგი ახალი საქართველოსათვის, ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად იყენებდა. მისი იდეა იყო ახალი საქართველო, რომელიც ევროპისკენ გაიკვლევს გზას და დაეწაფება ევროპულ განათლებას “. . . ამის გამო წარსულიდან უნდა გამოვიტანოთ ეროვნული ნიადაგი და ევროპის ნაწერებში ავარჩიოთ

სათესად წმინდა პური...“ (გოგებაშვილი, 1990: 237) ისტორიული ტექსტების, ქრონიკების, როგორც ქართული სულიერების უდიდესი საგანძურის შესწავლა-გააზრება და მათი მხატვრული ადაპტირებული ვარიანტებით საბავშვო ლიტერატურის გამდიდრება წარმოადგენს იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების ქვაკუთხედს.

გამოყენებული ლიტერატურა

- გოგებაშვილი, ი. (1990). *თხზულებანი*. ტ. V. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
- გოგებაშვილი, ი. (1975). *თხზულებანი ორ წიგნად*. ქართული საყმაწვილო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.
- გოგებაშვილი, ი. (1989). *რჩეული თხზულებანი*. (ტ. I). თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
- გოგებაშვილი, ი. (1990). *საგანძური*. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
- გოგებაშვილი, ი. (1912). *საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა: ისტორიული ამბავი საქართველოს წარსულიდან*. მეორე გამოცემა. თბილისი: ს. ლოსაბერიძის სტამბა.
- გოგებაშვილი, ი. (თ.გ.). *სხივი წარსულისა*. მოძიებულია ვებგვერდიდან <https://www.aura.ge/103-saskolo/11169-iakob-gogebashvili--sxivi-tsarsulisa.html>
- გოგოლაშვილი, გ. (2020). *“მეოხ ჩუნდა“ - ილია და აკაკი, იაკობი!* თბილისი.
- თურქია, თ. (2017). მხატვრული ნაწარმოების თარგმანი თუ ადაპტაცია? *ქართველური მემკვიდრეობა, XXI*, 150-155.
- თავზიშვილი, გ. (1960). *იაკობ გოგებაშვილი*. თბილისი.
- ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. (1997). *ეპისტოლენი, სიტყვანი, ქდავებანი*. ორ ტომად. თბილისი.
- კანდელაკი, ნ. (1990). *იაკობ გოგებაშვილი, იაკობის სამრეკლო*. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
- კეკელიძე, კ. (1957). *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*. ტ. V. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- კეკელიძე, კ. (1957). *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*. ტ. V. *ნობათი*. (1884). მოძიებულია ვებგვერდიდან <https://gdi.ge/storage/files/doc/„ნობათი“.pdf> (10.09.2024)
- რატანი, ი. (2009). *ჟანრის თეორია*. თბილისი.
- ქადაგიძე, მ. (2004). „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალ თხზულებათა ენა და მათი მხატვრული ანალიზი. *ქართული მემკვიდრეობა*. VIII.
- ჭავჭავაძე, ი. (1984). *თხზულებანი*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- ჭაბაშვილი, მ. (1989). *უცხო სიტყვათა ლექსიკონი*. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
- ჭიჭინაძე, ზ. (1900). *იაკობ გოგებაშვილი*. თბილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამხ., ნიკოლოზის ქ. N21. საქართველოს საბიბლიოთეკო კონსორციუმის ციფრული არქივი, <http://dspace.gela.org.ge/> (11. 09. 2024)

REFERENCES

- gogebashvili, i. (1990). *tkhzulebani [Works]*. Vol. V. Tbilisi: Publishing house „Ganatileba“.
- gogebashvili, i. (1975). *tkhzulebani or ts'ignad [Works in Two Volumes]*. kartuli saqmats'vilo lit'erat'uris bibliotek'a. [Library of Georgian Youth Literature]. Tbilisi: Publishing house „Nakaduli“.
- gogebashvili, i. (1989). *rcheuli tkhzulebani [Selected Works]*. Vol. I. Tbilisi: Publishing house „Ganatileba“.
- gogebashvili, i. (1990). *sagandzuri [Treasure]*. Tbilisi: Publishing house „Ganatileba“.
- gogebashvili, i. (1912). *saarak'o tavgadasavali t'akht'is memk'vidrisa: ist'oriuli ambavi sakartvelos ts'arsulidan [The Incredible Adventure of the Heir to the Throne: A Historical Tale from the Past of Georgia]*. Second Edition. Tbilisi: S. Losaberidze's Printing House.
- gogebashvili, i. (n.d.). *skhivi ts'arsulisa [A ray from the past]*. Retrieved from <https://www.aura.ge/103-saskolo/11169-iakob-gogebashvili--sxivi-tsarsulisa.html>
- gogolashvili, g. (2020). „meokh chuenda“ - *ilia da ak'ak'i, iak'obi! [Ilia and Akaki, Iakobi]*. Tbilisi.
- turkia, t. (2017). mkhat'vruli nats'armoebis targmani tu adap't'atsia? [Translation or Adaptation of a Literary Work]. *kartveluri memk'vidreoba [Georgian Heritage]*, XXI, 150-155.
- tavzishvili, g. (1960). *iak'ob gogebashvili [Iakob Gogebashvili]*. Tbilisi.
- ilia II, sruliad sakartvelos k'atolik'os-p'at'riarki [Ilia II, Catholicos-Patriarch of All Georgia]. (1997). *ep'ist'oleni, sit'qvani, kadagebani [Epistles, Speeches, Sermons]*. In Two Volumes. Tbilisi.
- k'andelak'i, n. (1990). *iak'ob gogebashvili, iak'obis samrek'lo [Iakob Gogebashvili, Jacob's Bell Tower]*. Tbilisi: Publishing house „Ganatileba“.
- k'ek'elidze, k'. (1957). *et'iudebi dzveli kartuli lit'erat'uris ist'oriidan [Etudes from the History of Ancient Georgian Literature]*. Vol. V. Tbilisi: Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR.
- k'ek'elidze, k'. (1957). et'iudebi dzveli kartuli lit'erat'uris ist'oriidan. t'. V. *nobati*. (1884). Retrieved from <https://gdi.ge/storage/files/doc/„nobati”.pdf> (10.09.2024)
- rat'iani, i. (2009). *zhanris teoria [Theory of Genre]*. Tbilisi.
- kadagidze, m. (2004). „kartlis tskhovrebashi“ shemaval tkhzulebata ena da mati mkhat'vruli analizi [The Language of Works Included in "The Life of Kartli" and Their Artistic Analysis]. *kartuli memk'vidreoba [Georgian Heritage]*. VIII.
- ch'avch'avadze, i. (1984). *tkhzulebani [Works]*. Tbilisi: Publishing house „Sabchota sakartvelo“.
- ch'abashvili, m. (1989). *utskho sit'qvata leksik'oni [Dictionary of Foreign Words]*. Tbilisi: Publishing house „Ganatileba“.
- ch'ich'inadze, z. (1900). *iak'ob gogebashvili [Iakob Gogebashvili]*. Tbilisi: Printing House of M. Sharadze and others. Nikoloz St. N21. Georgian Library Consortium Digital Archive, <http://dSPACE.gela.org.ge/> (11. 09. 2024)